8 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 ,,თანხის გამცემს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება ,,თანხის მიმღების"ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ ,,თანხის მიმღებს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების და შესყიდვების განხორციელება;

(ბ) თუ ,,თანხის მიმღებს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,თანხის მიმღებს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად თუ აღნიშნული წარმოადგენს ფორს-მაჟორული გარემოების შედეგს;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. სხვა პირობები

10.1 „თანხის გამცემმა" და ,,თანხის მიმღებმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ერთმანეთში შეათანხმონ მათ შორის ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა;

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა თანხის მიმღებს, ხოლო სამი ეგზემპლარი თანხის გამცემს.

10.3ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

„თანხის გამცემი"

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს
დირექტორის მოადგილე
თეიმურაზ მაჩაიძე

„თანხის მიმღები"

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის
სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლის
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
მარინა ჯიქიძე